ასაკის გავლენა

კვებითი აშლილობების ჩამოყალიბების რისკზე

ანა ახმეტელაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კლინიკური ფსიქოლოგია

სამაგისტრო სემინარის ხელმძღვანელი: ნინო ჯავახიშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა ახმეტელაშვილი / / 27.06.2016

აბსტრაქტი

კვლევის საკითხი გახლდათ, ასაკის გავლენა კვებითი აშლილობების ჩამოყალიბების რისკზე. თანამედროვე მსოფლიოში კვებით აშლილობებზე მრავალგზის ჩატარებულმა კვლევებმა, მიბიძგა მეკვლია, კვებითი აშლილობების ჩამოყალილების რისკი, ქართულ საზოგადოებაში. კერძოდ, შუა ხნის ასაკის, მდედრობითი სქესის ინდივიდებში. შუა ხნის ასაკის პერიოდისადმი ინტერესმა განაპირობა ჩემი კვლევის ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც, შუა ხნის ასაკის ქალები უფრო მეტი რისკის ქვეშ არიან განუვითარდეთ კვებითი აშლილობები, ვიდრე ახალგაზრდები. კვლევა ჩატარდა 4 ასაკობრივ ჯგუფზე 14-21; 22-30; 31-40 და 41-55 წლის ინდივიდებზე. საკვლევ ინსტრუმენტად გამოყენებულ იქნა კვებითი აშლილობების საკვლევი კითხვარი. კითხვარის შემდეგ 4 ქვესკალაზე: თავშეკავება, კვებაზე ზრუნვა, სხეულის ფორმებზე ზრუნვა და წონაზე ზრუნვა, ფიქსირდებოდა, რესპოდენტთა დამოკიდებულება თითოეული ქვესკალის საკითხის მიმართ. ქართველ ქალებზე ჩატარებულმა კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ასაკის ზრდასთან ერთად ქალის მგრძნობელობა საკუთარი სხეულის ფორმებსა და წონაზე ზრუნვის სფეროში იზრდება, რაც გვაძლევს საშუალებას ვიფიქროთ, რომ კვებითი აშლილობების რისკი, ასაკის ზრდასთან ერთად მატულობს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კვებითი აშლილობები, შუა ხნის ასაკი, შუა ხნის კრიზისი, მენოპაუზა